



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

2016 წლის 5 დეკემბერი

№ 113


თბილისი

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს ობლიგაციების ემისიის საბოლოო პროსპექტის დამტკიცებისა და ფასიანი ქაღალდებისათვის საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 52-ე მუხლის „ა“ და „დ“ პუნქტების, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-11 და მე-15 პუნქტების, საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2016 წლის 5 აგვისტოს N79/04 ბრძანებით დამტკიცებული „საწარმოთა ობლიგაციების ემისიის, საჯარო შეთავაზების და განთავსების ანგარიშების შესახებ“ წესის დამტკიცების თაობაზე“ წესის მე-4 მუხლის, „ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის, მინიჭების და ემისიის დამტკიცებული პროსპექტის რეგისტრაციის წესის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-4 მუხლის მე-7 პუნქტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 27 ივნისის N66/04 ბრძანების საფუძველზე:

1. დამტკიცდეს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს ობლიგაციების ემისიის საბოლოო პროსპექტი.
2. დამტკიცებული ემისიის საბოლოო პროსპექტის რეგისტრაცია განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს ახლად ემიტირებულ ობლიგაციებს მიენიჭოს საიდენტიფიკაციო ნომერი GE 2700603451.
4. წინამდებარე განკარგულების ამოქმედებიდან 3 დღის ვადაში ეცნობოს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს ახლად ემიტირებული ობლიგაციებისთვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თაობაზე.

5. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
6. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

A handwritten signature in black ink, consisting of stylized Georgian letters, with a long horizontal line extending from the top right of the signature.

კობა გვენეტაძე